პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი | № 306 (13391) | სამშაბათი, 28 დეკემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ციალა ზხვაია ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო, როდესაც 1957 წელს სასკოლო მერხიდან სამუშაოდ ჩაის პლანტაციაში დაიწყო სიარული. სულ მალე იგი მოწინავე მეჩაიეებს გვერდში ამოუდგა და მას შემდეგ ყოველწლიურად ჩაის კრეფის გეგმას ორმაგად ასრულებს. 1961 წელს გალის რაიონის სოფელ ნავაკევის კროვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებამ იგი ლენინური პარტიის რიგებში მიიღო. კოლმეურნეობამ ც. ეხვაიას შრომა დააფასა და ახლა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მან მიმდინარე წელს 8,5 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა ნაცვლად 4 ტონისა. მოწინავე მეჩაიემ პირობა დადო 1966 წელს 10 ტონა მწვანე ოქრო მოკრიფოს.

სურათზე: ც. ეხვაია.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ავღანეთის რესპუბლიკის ელჩი

27 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო კაბული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ბარლოს ოლივარეს სანჩესი და მეგობრულად ესაუბრა. (საკდესი).

ეწვივნენ ნ. ვ. პოდგორნის

27 დეკემბერს კუბის რესპუბლიკის სამანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ბარლოს ოლივარეს სანჩესი კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

ელჩსა და ნ. ვ. პოდგორნის შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

27 დეკემბერს საბჭოთა კავშირში სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მუდმივი წარმომადგენლობის მეთაური დანგ კუანგ მინი კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

მეზეგდრის დროს გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

საქა გორკის საოლქო კომიტეტის პლენუმი

გორკი, 27 დეკემბერი. (საკდესის კორ.). დღეს გაიმართა საქა გორკის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. სიტყვა მოახსენა ს. ტ. ეფერემოვის სსრ კავშირის მინისტრთა თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის გამო პლენუმმა გამოთქვა უფლება იგი პარტიის გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან. ... გორკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. კ. ფ. კატუშევი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხ. ბრეჟნევმა, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ პლენუმის მონაწილენი, დაამთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიც ... საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებს და პარტიული ორგანიზაციებისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულ ამოცანებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. (საკდესი).

წარმატების ციფრები

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

1965 წლისათვის დადგენილი საცალო საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმა შესრულდა ადამდე — 27 დეკემბრისა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1965 წელს 103 მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენს და გასულ წელთან შედარებით, შესადარ ფასებში, ოთხმოცდა 10 პროცენტით გადადიდება.

ახალი ბოლიოთი

ნოვოკუზნეცკი. (საკდესის კორ.). სახელმწიფო კომისიამ ხელი მოაწერა აქტს დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის უნიკალური საგალინავი დანადგარ „250“ საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ.

ექვსნაბიჯა ცხელი გამოცდის დროს დადასტურდა ცხადყო, რომ საიმედოდ მუშაობენ ავტომატური ... ოპერაციებლობანი.

ბოლოს ... ...

ჟანდარმული ცხოვრება

ინიციატორები მომავალზე მსჯელობენ

ჯიათურა... ახსენებთ ამ ქალაქს, და უეჭველად წარმოგიდგებათ ცაში აზიდული, მბრგებგაშლილი, საშეკრეზონს, შუქრუთისა და პერეკეთის ზვიადმთები. მალე 90 წელი შესრულდება იმ დღიდან, რაც პირველმა ქართველმა მადაროელმა წერაქვი შემოკრა მთის გულს, სამუდამოდ დაარღვია ყვირილის ხეობის მუუდრობა და ახალი სიცოცხლე შთაბერა არემარეს.

საკვეყნოდ გახმაურდა ქართული მარგანეცის სახელი და ღირსება. მაგრამ ჭიათურელები მარტო ამით როდი არიან ცნობილნი. მთებთან შეუპოვარ ბიდილში ნაწრთობმა ადამიანებმა ერთ-ერთმა პირველებმა აღიმაღლეს ხმა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მონობის ბორკილების დასამსხვრევად. ჩვენი საუნარის გარიჟრაჟზე ჭიათურელი მადაროელები ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში და გაბედულად აიფრიალეს თავისუფლების ფოთელი დროშა...

ათეულმა წლებმა განვლო. თვალს ხიბლავს და გულს ახარებს განახლებული, ინდუსტრიული ჭიათურა, მისი მაღისცემა. საკართველოს მუშათა კლასის ერთ-ერთი სახელოვანი რაზმი — ჭიათურელი მადაროელები, ერთგულნი თავიანთი რევოლუციური და შრომითი ტრადიციებისა, რესპუბლიკაში პირველნი გამოვიდნენ სკკპ XXIII ყრილობისა და საკართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების თაოსნებად. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მარგანეცის ქალაქის მშრომელები პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. აი შედეგებიც: მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების შვიდწლიანი გეგმა შესრულებულია 10 სექტემბრისათვის. ხოლო მადალი ხარისხის მადნების გამოშვებისა — 11 დეკემბრისათვის, ვადამდე შესრულდა წლიური დავალებები და მოამავალი წლის ინგარიშში მეტალურგიულ ქიმიურ მრეწველობას ეგზავნება მარგანეცით დატვირთული ეშელონები.

მაგრამ ჭიათურელები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით შოგაონებულნი ეძიებენ ახალ რეზერვებს რეალურად შრომისათვის, ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

თავიანთი შრომის შედეგების შეჯამებისა და ახალი ამოცანების დასახვისათვის შეიკრიბნენ ჭიათურელი კომუნისტები თავიანთ XXI კონფერენციაზე.

— პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე, — განაცხადა მომხსენებელმა — საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ზ. პაპტარიმ, — კეთილაყოფილი გავლენა მოახდინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და მომდევნო პლენუმებმა, ოქტომბერმა ალადგინეს პარტიული ორგანოების ავტორიტეტი. ლენინური პრინციპები და ხელმძღვანელობის სტილი, დასაწყს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და ძლიერების შემდგომი განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული გზები, დამკვიდრდა და ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი ატმოსფერო, როცა ფართოდ იშლება ხალხის ინიციატივა, მისი შემოქმედებითი გაკვანება, რათა სრულად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის მდიდარი რესურსები და სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობანი.

ამის ნათელი დადასტურებაა მარგანეცის მრეწველობის სინამდვილე. საწარმოო გეგმების შესრულების საუკეთესო მაგალითები გვიჩვენეს კალინინის, დიმიტროვის, ლენინის სახელობის, პერეკეთის მადაროელებმა და ცენტრალური დამაყენი ფაბრიკის კოლექტივებმა. ამან განაპირობა ის, რომ მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა მეორე და მესამე კვარტალის მაჩვენებლებით ზედიზედ მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, მეორედ გამოვიდა პირველ ადგილზე რესპუბლიკის საწარმოებს შორის.

როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათეებმა დაწვრილებით ილაპარაკეს მადაროელთა შრომითს შემართებაზე, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მეცნიერების მიღწეათა ფართოდ დანერგვაზე, შრომის სწორ ორგანიზაციასა ორკერ იმსჯელა, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

მომხსენებელმა დელეგატებს ერთხელ კიდევ შეახსენა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების რენტაბელურად მუშაობის საქმეში სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომის მოძრაობის დიდი მნიშვნელობა. აღინიშნა, რომ კომუნისტური შრომის სკპკერო სახელისათვის იბრძვის 8.500 მუშა-მოსამსახურე. ეს წოდება მიეკუთვნა 78 ბრიგადასა და ცალას, ხოლო 182 ცალა და ბრიგადა იბრძვის ამ სახელწოდების მოპოვებისათვის. ამასთანავე ითქვა, რომ ზოგი უბანი, ცალა და ბრიგადა, რომელებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ, ვერ ასრულებს დავალებებს. მომხსენებელმა დასძინა, რომ ეს მოძრაობა პროფკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა, რომ მათ უნდა დარაზმონ ადამიანები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

კონფერენციაზე წამოიჭრა მთელი რიგი პრობლემატური და საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც დროულ გადაწყვეტას მოითხოვენ. საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ბოლო ხანებში გაძნელდა დაბალი ხარისხის მარგანეცის გასალება. ამჟამად დასაწყობებულია ორ მილიონ ტონაზე მეტი ასეთი მადანი. ამის გამო შექმნილია მძიმე ფინანსური მდგომარეობა. ეს საკითხი დაუენებულია ზემდგომ ორგანოებში. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე მარგანეცის ფასების გადასინჯვისა და მოწესრიგების საკითხზე.

კონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა ახალ სამრეწველო სიმძლავრეთა დროულად ამოქმედებაზე. მშენებელთა მუშაობაში არსებული ხარვეზების ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზებზე.

სავალალოა, რომ 217 სამშენებლო ობიექტიდან გეგმა მხოლოდ 68 ობიექტზე შესრულდა. წლითიწლობით კლებულობს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ხაზით „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების მოცულობა. თუ 1960 წელს მშენებლებმა ათვისეს 6.580 ათასი მანეთი, 1965 წელს გათვალისწინებული 7.458 ათასი მანეთიდან თერმეტ თვეში ათვისებულია მხოლოდ 5.659 ათასი მანეთი. ამავე პერიოდში ბინათმშენებლობის ნაგეგმი ათვისება შემცირებულია 44 პროცენტით. კონფერენციის დელეგატებმა გააკრიტიკეს „ჭიათურმარგანმშენის“ ტრესტის კოლექტივი, რომელმაც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 11 თვის გეგმა ჭიათურაში 81 პროცენტით შეასრულა!

კონფერენციის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის, ახალგაზრდობის აღზრდის, კადრების შერჩევა-დაწინაურების, ქალაქის კეთილმოწყობისა და შრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ძირეული საკითხები.

ტრიბუნაზეა დიმიტროვის სახელობის მადაროს პარტიული კომიტეტის მდივანი აპ. სხირტლაძე.

— მართალია, ჩვენი მადაროს კოლექტივი დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს, — თქვა მან, — მაგრამ მუშობაში გვაქვს ხარვეზებიც. მიწისქვეშა რვა საწარმოო უბნიდან ნახევარი გეგმას ვერ ასრულებს. პარტიულმა კომიტეტმა ამ დღეებში განიხილა მეორე და მეხუთე უბნების მუშაობის საკითხი. გამოირკვა, რომ დაბალია შრომის დისციპლინა, იგრძნობა კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა, დიდია დეფადობა. პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა ღონისძიებები და ვიბრძვით მათი შესრულებისათვის. მან მოითხოვა, რომ მადაროს დაეხმარონ ავტოტრანსპორტით მექანიზებისათვის სათადარიგო ნაწილების მომარაგებაში.

ტრიბუნაზეა სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ზ. ნადირაძე. მან კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრო, რომ საფლოტაციო ფაბრიკის მშენებლობაზე შეფერხებებია. ამის მიზეზია საშენი მასალების დროულად მიუწოდებლობა. მან სთხოვა ქალაქო კომიტეტის ახალ შემადგენლობას, რომელსაც კონფერენცია აირჩევს, მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს მშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

„ჭიათურმარგანმშენის“ ტრესტის მმართველმა ბ. შანიძემ მიიღო მომხსენებლისა და მოკამათეთა კრიტიკა. მან დელეგატებს აუწყნა მშენებლობათა ჩაორრნის მიზეზები. მშენებლები დაგვიანებით და ზოგჯერ ხარვეზებით იღებენ საპროექტო, ტექნიკურ დოკუმენტაციებს. სამეფონო წლის დასაწყისში არა გვქონდა 749,9 ათასი მანეთის ღირებულების სამშენებლო სამუშაოთა საპროექტო დოკუმენტაციები, დასძინა მან. გვაფერხებდა მუშახელის, ავტოტრანსპორტის, საშენი მასალების ნაკლებობა. მოკამათემ საკვირაოდ მიიჩნია პერსპექტიული დაპროექტებისა და ბინათმშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება.

— ჩვენი მადაროს კოლექტივმა შვიდწლიანი დავალება 11 დეკემბრისათვის შეასრულა, — განაცხადა ახალი ითხვისის მადაროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა შ. კაკაანაძემ. — თუმცა ეს სამრეწველიანად გაგვიკრიტიკეს მიმდინარე წელში პირველი ხარისხის მარგანეცის გეგმის შეუსრულებლობისათვის. მან კონფერენციას აღუთქვა, რომ მადაროს კოლექტივი გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას, დაძლევს ჩაორრნას და ღირსეულად შეხვდება პარტიის XXIII ყრილობას. ს. კაკანაძემ მოითხოვა მადაროში საცხოვრებელი ბინის აშენება და სახალხო-სამეურნეო გზის მშენებლობის დაჩქარება.

ჭიათურელ მადაროელთა წარმატებები, — თქვა მარგანეცის ტრესტის მმართველმა ლ. გოგუაძემ, — მნიშვნელოვნად განაპირობა ახალი ტექნიკის დანერგვამ. ამ დარგში ჩვენთან ბევრი რამ გაკეთდა. მიღწეულნი კიდევ მეტი იქნებოდა, რომ საერთო წარმატებათა ფონზე არ გვქონდეს ნაკლოვანებებიც. მიწისქვეშა უბნების ნახევარზე მეტი ჩაორრნება. ადგილი აქვს თვითდირებულების გაძვირებასა და ხელფასის ფონდის გადახარჯვას. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საფუძვლიანად ვერ ვსწავლობთ ამ ჩაორრნების მიზეზებს, დაბალია ეკონომიური ანალიზის დონე.

მან კონფერენციის მონაწილეებს კვლავ შეახსენა, რომ რესპუბლიკაში საჭიროა შეიქმნას სამთო მექანიზმების დამამზადებელი საწარმო. ამასთან შეუწყნარებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ჭიათურის მშრომელთა კვების პროდუქტებით უზრუნველსაყოფად დღემდე შექმნილი არ არის მესაქონლეობა-მეფრინველობა-მებოსტნეობის სამეურნეო.

ადამიანის ყოფაცხოვრების გაუმჯობესება ჩვენი პარტიისა და მთავრობის ძირითადი პრინციპია. ამ მიზანს ემსახურება ქალაქის კეთილმოწყობა და კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესება, რაშიც მონაწილეობს ქალაქის მოსახლეობა.

მაგრამ ქალაქში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მოუგვარებელია ქუჩების დასუფთავება-გამწყანება. გარკვეული ნაკლოვანებები გვაქვს სოფლად კლუბების, კულტსახლებისა და ბიბლიოთეკის მუშაობაში. შესამჩნევია მედიცინის მუშაკების ნაკლებობა. ეკმიები რაღაცამდეც გაურბიან სოფელში მუშაობას, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სოფლის საავადმყოფოებში, რაც უნდა გაითვალისწინოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, — ყოველივე ამის შესახებ თქვა თავის სიტყვაში საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. სხირტლაძემ.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ: ზოდის კოლმეურნეობის პარტიიურის მდივანი ლ. ბოგოლაძე, კალინინის სახელობის მადაროს დირექტორი ს. კბარაცხელია, მეორე საშუალო სკოლის დირექტორი ს. კაკანაძე, მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომის თავმჯდომარე ბ. გამყრელიძე, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ბ. ჯილაძე და საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. გურული.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ს. სტურუა.

კონფერენციამ პარტიის ქალაქკომის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად. აირჩია მისი ახალი შემადგენლობა და საქართველოს კპ XXIII ყრილობის დელეგატები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი ბ. ბ. ბასილიევი.

* * *

შედგა ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ზ. პაპტარიძე, მეორე მდივნად — ბ. ცხადიაშვილი, მდივნად — ი. კეკელიშვილი.

ო. არონგელიძე,
ჯ. ჭიოკაძე.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას შრომითი აღმავლობით ხვდებიან ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები.

მიმდინარე სეზონში ას ტონაზე მეტ ციტრუსებს გაუგზავნის მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მშრომელებს მანდარინის შემფუთავი ქარხანა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ახალგაზრდა მუშებს უუეუნა თოდრაძესა (მარცხნივ) და იამზე გოგოლაძეს, რომლებსაც მცირე წვლილი როდი შეაქვთ საწარმოს მიერ წლიური გეგმის განაღდებაში, ისინი ორმაგად ანაღდებენ ყოველდღიურ ნორმებს. ქარხანაში კი ოქროსფერი ნაყოფის სულ ახალი და ახალი ნაკადი მოდის.

ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე წარმატებით დგას ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი. ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, ათთვისეს კვების მრეწველობის ახალი მანქანა-დანადგარების გამოშვება. საწარმომ ახლახან მიიღო ლენინგრადის ქარხანა „ადმირალტეეცის“ დაკვეთა. დაკვეთა წარმატებით სრულდება — პირველი ავტოკლავები მზად არის გასაგზავნად. სწორედ მათ ამოშენებენ საკვაბე საამქროს უფროსი ვიქტორ დოლიძე (მარცხნივ) და ბრიგადირი გურგენ კარაპეტიანი.

ფოტო ი. დავითაშვილისა და ნ. ანასტასიევისა (საქფოტო ფოტოქრონიკა).

სიუხვის საფუძველი

გახსოვდეთ, მევენახეებო!

ქართველ მევენახეებს დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ ვაზის მოვლა-პატრონობის საქმეში. მათ შეიძინეთ ეუკარნი ეს კულტურა და მზრუნველობასაც არ აკლებენ. ამის შედეგი ეკონ ყურძნის უხვი მოსავალი, რომელიც წელს მიიღეს ჩვენმა მევენახეებმა. მაგრამ მიღწევებმა არ უნდა წაგვთამაშოს და თვითდამშვიდებას არ უნდა მივეცეთ. მომავალი 1966 წლის სამეურნეო წარმატებები დიდად არის დამოკიდებული იმაზე თუ როგორ ვიმუშავებთ ზამთარში.

ვენახებში ზამთრის სამუშაოებიდან აღსანიშნავია: ვენახის გაშენება, ვაზის გადაწვენა, ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა, ვენახის მორწყვა, საკვებავ ნაკვეთის პლანტაჟი, სანერგანათვის ნიადაგის მომზადება, ახალი შპალერის დაყენება, სარწყავი სისტემის შეკეთება, სასმობური მეურნეობის მომზადება და სხვა.

ვენახის გაშენება მეტად პასუხსაგები აგრომეტანიკური ღონისძიებაა. მართალია, ბევრი სპეციალისტი და პრაქტიკოსი მევენახე ვენახის გაშენების საუკეთესო ვადად შემოდგომასა და გაზაფხულს ასახელებს, მაგრამ არანაკლები ეფექტურობით ხასიათდება ვენახის ზამთოის თვეებში (დეკემბერ-იანვარი) გაშენება. ზამთარში ვენახის გაშენება დასაშვებია მხოლოდ თბილ დღეებში, როცა არ ყინავს. ამისათვის კი მთავარია ნიადაგი საჭირო სიღრმეზე იყოს დამუშავებული 2-3 თვით ადრე. ვაზის დარგვაძდე. ამ პერიოდში ვაზის დარგვის დროს ნერგს თავზე დაეყრება ჩვეულებრივზე მეტი მიწა, რომ არ მოხდეს მათი მოყინვა, ხოლო გაზაფხულზე დარგულ ნერგებზე ზედმეტად დაყრილი მიწა უნდა შემცირდეს, რათა ნერგიდან განვითარებულ ყლორტს არ გაუჭირდეს მიწის ზემოთ აღმოცენება. ვენახის გაშენებისას დასარგავი ნერგი საგულდაგულოდ უნდა დახარისხდეს. უნდა დავრგოთ მხოლოდ ის ნერგი, რომელსაც ჭრილობის ადგილი კარგად ეშენება შეხორცებული, ფესვთა სისტემა და ზედაზნაურები ეშენება ძლიერი. მუდმივ ადგილზე ვაზის ერთწლიანი ნერგი უნდა დაირგოს სათანადო სიღრმე-სიგანის ორმოებში, რომლებსაც დაიტოვება 10-15 სანტიმეტრი სიგრძის ფესვი და ორკვირტიანი რქა. როგორც აგროტექნიკურად მიუღებელი საშუალება დაგრძილ უნდა იქნას ერთწლიანი ნერგის დარგვა სარგავი პალოებით.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას მეტად ამუხრუჭებს ვენახის სიმეჩხრე. რესპუბლიკის ვენახებში სიმეჩხრის პროცენტი ძალზე დამაფერეგელია. ზოგიერთი **კოლმეურნეობის** ვენახებში გაცდენილი ვაზების რაოდენობა ნახევარზე მეტს აღწევს, რაც უთარეფით გავლენას ახდენს ყურძნის მოსავლიანობაზე. ამ არასასურველი მდგომარეობის თავიდან აცილებისათვის საჭიროა ახალშენ ვენახებში ვიზარმოოთ იმავე ჯიშის ერთწლიანი პირველხარისხოვანი ნერგის გამორგვა, ასაკში მესულ ვენახებში კი — ვაზის გადაწვენა. მევენახეობის აგროკომპლექსში ვაზის გადაწვენის მრავალი წესიდან მეტ ეფექტს იძლევა ვაზის მთლიანი გადაწვენა, რჩის ჩაწიდვნა და მხრის გაგრძელება. მთლიანი ვაზის გადაწვენა უმჯობესია გადაბერებულ ვენახში, რითაც ხორციელდება ორი სანის ღონისძიება — გაცდენილი ადგილის შევსება და მობერებული ვაზის გაახალგაზრდავება. რჩის ჩაწიდვნით მეტად სასარგებლო საქმე კეთდება — ივსება გაცდენილი ადგილი, დედა ვაზიდან ვიღებთ ყურძნის ჩვეულებრივ მოსავალს და გადაწვენილი ახალი ვაზიდან — მცირეოდენ მოსავალს. რაც შეეხება მხრის გაგრძელებას, მას დიდი ხნის ისტორია აქვს, რითაც ორ-სამმეგად იზრდება ყურძნის მოსავალი და იფარება გაცდენილი ვაზის ადგილი. ვენახში ცალკეული ვაზის ბრის გაგრძელების მეტი ეფექტურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გაგრძელებული მხრის წვერის ნიადაგში ჩაწიდვნას, რაც გიგა მანვაძის მეთოდით არის ცნობილი. ამ შემოხვევაში რჩის წვერზე ვეთარდება ფესვთა სისტემა და ვაზის ორმხრივი კვებით უმჯობესდება საკვებ ნივთიერებათა მიმართვება, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად ზრდის ყურძნის მოსავლიანობას.

ვაზის გადაწვენის ყველა წესს წარმატებით იყენებენ ვენახში ზამთრის თვეებში ყოველ თბილ დღეს. გონიერი მევენახე ამ საქმეშაოებს მთლიანად ამთავრებს გაზაფხულის საქმეშაოებს დაწყებამდე.

ზამთრის სამუშაოებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახის **ნიადაგის დამუშავებას. ახლა,** განსაკუთრებით თოვლიან ამინდში ვენახის ნიადაგის ზამთარში ღრმად მოხვნა ან გადაბარა ტენის დაგროვების საკეთესო საშუალებაა.

აგროღონისძიებათა კომპლექსში **სასუქების ნიადაგში შეტანა** და საკორო სიღრმეზე ჩახვნა ერთ-ერთი აუცილებელი ღონისძიებაა. ვენახში დეკემბერ-იანვარში უნდა შევიტანოთ გადაწყვარი ნაკელი. დასავლეთ საქართველოს ღარიბ, ცუდი ფიზიკური თვისებების მქონე ნიადაგებში ჰექტარზე 60-70 ტონა ნაკელი უნდა შევიტანოთ, ხოლო ნაკლებად ღარიბ ნიადაგებში — 40-60 ტონა. აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ რაიონებში ღარიბ და ხარხატ ნიადაგებში ჰექტარზე უნდა შევიტანოთ 40-60 ტონა ნაკელი, ხოლო შედარებით მდიდარ ნიადაგებში — 20-25 ტონა. ეს ასე უნდა გაკეთდეს: ვენახში წინასწარ გაიშლება გათვალისწინებული ოდენობის ნაკელი და 18-20 სანტიმეტრ სიღრმით ჩაიხვნება ნიადაგში. ამასთან ვენახის ნიადაგში ნაკელის შეტანა 3-4 წელიწადში ერთხელ საკმარისია.

ვაზის ზრდა-განვითარებისა და ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის უმჯობესია ამ პერიოდში შეტანილ ნაკელს შეეიროს მინერალური სასუქებიდან ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების საჭირო ნორმის ნახევარი მაინც. დანარჩენი ოდენობა და აზოტოვანი სასუქები შეტანილ იქნება ადრე გაზაფხულზე.

ყურძნის უხვი მოსავლისა და მაღალხარისხოვანი პროდუქტების მისაღებად, აგრეთვე ვაზის უკეთესი ზრდა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახების **ზამთარში რწყვას.** ცნობილია, რომ მევენახეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ვენახების საბაფხულო-საკვებეტაციო რწყვას, ხოლო უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ზამთრის რწყვას, რაც ყოვლად დაუშვებელია. მევენახეობის იმ რაიონებში, სადაც ვაზი ზაფხულში ტენის დეფიციტს განიცდის, მეტად ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს ვენახების მორწყვა ზამთარში. დეკემბერ-იანვრის თბილ დღეებში ვენახის ნიადაგის მორწყვათ იქნება უტყუარი საფუძველი ღრმა ფენებში ტენის დაგროვებისა, რაშელსაც ვაზი ზაფხულის ცხელ დღეებში თანდათანობით რაციონალურად ხარჯავს და ვაზები ადარ გრძნობენ ტენის ნაკლებობას. ზამთრის თვეებში ვენახების მორწყვის პრაქტიკა ფართოდ უნდა დაინერგოს განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში.

1965 წლის უხვმა მოსავლიანობამ და ყურძნის ბარაქამ ჩვენს მევენახეებს კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა **ახალი ვენახების გასაშენებლად.** ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა აქვს საკვებავ ნაკვეთების შერჩევას და მის დამუშავება-მომზადებას ვაზის დასარგავად.

საკვებავ შერჩეულ უნდა იქნას დღევანდლამდე გამოუყენებელი გორაკები და ბუჩქნარიანი მიწები. საკვებავ შერჩეულ ნაკვეთზე ზამთარში უნდა შესრულდეს ნიადაგის პლანტაჟი წინასწარ ორგანული და მინერალური სასუქების ერთობლივად შეტანის შემდეგ, ნიადაგის სათანადოდ მომზადების შემდეგ ბაზფხულზე დაირგოს მაღალხარისხოვანი ნამყენი ნერგი.

ვენახების ხარისხობრივად გაშენების ძირითად საფუძველს წარმოადგენს კარგად დაფესვიანებული ნერგი, რომელიც მიიღება ვაზის სანერგიდან. მართალია, ვაზის სანერგეში ნერგის დარგვა გაზაფხულზე წარმოებს, მაგრამ სანერგისათვის ნიადაგის შერჩევაზე, მის პლანტაჟსა და მომზადებაზე ზამთარში უნდა ვიზრუნოთ. სანერგისათვის უნდა შეირჩეს ღრმა ნიადაგი, რომელიც მდიდარია საკვები ნივთიერებებით და ხასიათდება კოტტოვანობით. სანერგისათვის გათვალისწინებული ნაკვეთი აუცილებლად სარწყავში უნდა იყოს და ქარი არ უნდა ხვდებოდეს. სანერგის ნაკვეთის პლანტაჟი 50-70 სანტიმეტრ სიღრმეზე ზამთარში უნდა მოიხნას, რომ სათბურიდან გამოტანილი ნერგის დარგვამდე ნიადაგმა მოასწროს კარგად გაფხვიერება და დაჯდომა.

ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარების, ყურძნის უხვი მოსავლის და მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **შპალერის მოწყობას.** ძირითადად ვენახის შპალერი ეწყობა ზამთრის თვეებში. ეს სამუშაო უნდა დამთავრდეს გაზაფხულამდე — ვაზში ჭანის მოძრაობის დაწყებამდე, კვირტების გამოღვიძებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თითქმის ყველა ვენახის საზოგადოებრივ და საკარმიდამო ნაკვეთებზე მასობრივად დამკვიდრდა შპალერის მოწყობა, მაგრამ ჯერჯერობით არ მოხერხდა წყვილმავთულიანი შპალერის **დანერგვა** მევენახეობაში. მეურნეობათა ხელმძღვანელები და აგრონომნალი დიდ დანაშაულს სჩადიან, რომ წყვილმავთულიან შპალერს უგულებელყოფენ. მევენახეობის აგროკომპლექსში დიდი მოსავლისა და ეკონომიური ეფექტურობის მიხედვით წყვილმავთულიან შპალერს ვერც ერთი ღონისძიება ვერ გაუტოლდება. ამ ტიპის შპალერი 7-10-ჯერ მაინც ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამდენჯერვე ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის მიერ შემუშავებული და ყველა მეურნეობაში დაგზავნილია სპეციალური ინსტრუქციები წყვილმავთულიანი შპალერის მოწყობის შესახებ. ამ წესის გამოყენებისა და წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის უნდა იზრუნონ მეურნეობის ხელმძღვანელებმა და აგრონომებმა.

მევენახეობის განვითარებისა და ვაზის მოსავლიანობის ამაღლებისათვის გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სასათბურო მეურნეობის მოწყობას. მართალია, ვაზის მყნობა გაზაფხულზე წარმოებს, მაგრამ მყნობის ჯეროვანად მოწყობისათვის საჭიროა ზამთარში მომზადდეს სათბურის შენობა და სანამყენე ყუთები, ნახერხი, სანამყენო სახელოსნო, მყნობელები, სანამყენო დანები და სხვ.

ზამთარში ვენახების მოსარწყავად უნდა მოეწყოს სარწყავი სისტემა, ვაზის მავნებელ-ავადმყოფობათა წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა მოვიმზადოთ შხამმასალები, შეკვეთილოთ მთელი წლის სამუშაო გეგმა-კალენდარი და სხვ.

მევენახეებო, გახსოვდეთ! მომავალი წლის უხვ მოსავალს ახლა ეყრება საფუძველი. ვენახებს მეტი ყურადღება სჭირდება ზამთრის პერიოდშიც.

ა. ხელაშვილი,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის დოცენტი.

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

თელავი. (საკ. კორ.). — ჩვენს საკავშირო [illegible] — [illegible] [illegible] [illegible]

საერთაშორისო ცხოვრება

პირველი პლასტმასის კატარღები

სოფია. შავი ზღვის ქალაქ მიჩურინში უკვე 12 წელია მუშაობს პატარა საოვეზაო გემების, კატარღების, იახტებისა და ნავების საწარმო, რომელიც მეტად პოპულარულია ბულგარეთში. ამ ცოტა ხნის წინათ გემთმშენებლებმა აითვისეს ოთხადგილიანი და ექვსადგილიანი პლასტმასის კატარღების წარმოება. უკვე დამზადებულია ორმოცამდე ასეთი კატარღა. გამოცდის დროს გამოვლინდა კარგი სიჩქარე — 50-60 კილომეტრი საათში.

ახლა ქარხანაში ითვისებენ 60-დან 80 კილოგრამამდე წონის ორადგილიან პლასტმასის კატარღებს. მომავალში საწარმო მასობრივად გამოუშვებს პლასტმასის სხვადასხვა ტიპის პატარა გემებს, ნავებს, ნაყალევში ფრთიან კატარღებს, დიდი ზომადების დეტალებს.

ახალი რუმინული ტრაქტორი

ბუქარესტი. ბრაშოვის ტრაქტორის ქარხანაში დაიწყო მუხლუხა ტრაქტორების „ს-650" სერიული გამოშვება. ეს იმ ოვლიანი ტრაქტორის „უ-650"-ის დაძმაა, რომელმაც ოქროს მედალი მიიღო ლაიფციგის საერთაშორისო ბაზრობაზე.

ხუთწლედში (1960-1965) ბრაშოველმა ტრაქტორმშენებლებმა გამოუშვეს 100 ათასი მანქანა. საწარმოს პროდუქცია ექსპორტისათვის არის განკუთვნილი. მან მაღალი შეფასება მიიღო ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში.

სოციალისტური ქვეყნებში

მოითხოვენ ხელფასის მომატებას

ბაირუთი. სამხრეთ არაბეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, გრძელდება 5.000 მუშის გაფიცვა, რომელიც ინგლისის ადენის სამხედრო ბაზასა და მასთან დაკავშირებულ მთავრობის დაწესებულებებს ემსახურებიან. ეს მეორე დიდი გაფიცვაა ამ თვეში. გაფიცვის მონაწილენი მოითხოვენ ხელფასის მომატებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას. გაფიცვის შედეგად შეწყდა ფოსტის მუშაობა. გაფიცულებთან სოლიდარობის ნიშნად ადენის საავადმყოფოთა თანამშრომლებმა არ გაიგზავნენ სამუშაოდ.

როგორც ინგლისის სამხედრო ბაზის მომსახურე ადგილობრივ მუშაობა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, გაფიცვა მანამდე გასტანს, სანამ ინგლისის ადმინისტრაცია არ დაკმაყოფილებს გაფიცულთა მოთხოვნებს.

(საკდესი).

კამგოჯის მთავრობის საპროტესტო განცხადება

პნომ-პენი, 27 დეკემბერი. (საკდესი). კამბოჯის მეფის მთავრობა გაეცნო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას, როლორაც ამერიკის შეიარაღებულ ძალებს უფლება ეძლევათ დაარღვიონ კამბოჯის სახელმწიფო, და მტკიცე პროტესტს აცხადებს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც თავისთავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ყველა საერთაშორისო კანონის უხეში დარღვევაა, ნათქვამია კამბოჯის მთავრობის განცხადებაში.

მეფის მთავრობა უფლებას იტოვებს მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციას ამერიკის მთავრობის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც, უდავოა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევაა და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას. მეფის მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა სამხედრო საშუალებით წინააღმდეგობას გაუწევს კამბოჯის საზღვრების დარღვევას და თუ საჭირო იქნება მიმართავს ქვეყნებს, რომლებიც მზად არიან ყოველნაირად დაეხმარონ და მხარი დაუჭირონ კამბოჯას.

ზამბია აუქმებს...

ლონდონი, (საკდესი). 18 საავიაციო რეისი, რომლებსაც მომსახურებას უწევენ საავიაციო კომპანიები „ზამბია ეირვეისი" და „სენტრალ აფრიკენ ეირუეისი", უქმდება, განაცხადა ზამბიის ტრანსპორტისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ბრძოლისა და გამარჯვების სტიმული

სოფია, 27 დეკემბერი. (საკდესი). არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ახალი 1966 წლის პირველი დღეები-დანვე იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში მიეცემა ახალი, მეტად ძლიერი სტიმული, ამბობენ ლათინური ამერიკის ქვეყნების ანტიიმპერიალისტურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების პირველი კონფერენციის მოწვევის მეოხებით, წერს ბულგარული ახალგაზრდული გაზეთი „ნაროდნა მლადეჟი". პაკანის მომავალ კონფერენციასთან დაკავშირებით. მეორე დღეს გაგრძელდება ეს კონფერენცია და იმპერიალიზმის აგრესიული თავდასხმებისადმი მისი მეურგებლობისა და ბრძოლისა და გამარჯვებისადმი მისწრაფების სულისკვეთება გადაეცემა წლის დასაწყისში ეს ღონისძიებანი ეკიდებიან.

გაზეთი წერს, რომ ბულგარული ახალგაზრდობა, რომელიც მხურვალედ ესწრაფვის მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებას, სულითა და გულით დიდ წარმატებებს უსურვებს კონფერენციას მის მიერ დასახული კეთილშობილური მიზნების სრული განხორციელების საქმეში.

პაკისტანის სანქციები

ლონდონი, 25 დეკემბერი. (საკდესი). მიმდინარე წლის 22 დეკემბრიდან პაკისტანმა აკრძალა ვაჭრობა სამხრეთ როდეზიასთან.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება რავალპინდიდან, ეს ოფიციალურად გამოცხადდა 24 დეკემბერს საღამოს.

აიუბ ხანის გამოსვლა

ყარაჩი, 27 დეკემბერი. (საკდესი). პაკისტანს სურს მშვიდობა და მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, მათ შორის ინდოეთთან, განაცხადა ბოგორში (აღმოსავლეთი პაკისტანი) გამართულ მიტინგზე პაკისტანის პრეზიდენტმა აიუბ ხანმა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობაში არ არის ისეთი პრობლემები, რომლებიც არ შეიძლება გადაიჭრას მშვიდობიანი გზით.

აიუბ ხანმა შემდეგ თქვა, რომ მალე გაემგზავრება ტაშენტში და იქ შეხვდება ინდოეთის პრემიერ-მინისტრს შასტრის. მან დასძინა, რომ მაღლობელია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა იმ ინტერესისათვის, რომელსაც ინდოეთ-პაკისტანის დავის გადაჭრისადმი იჩენს.

„ბეზიზზლებით!" — ამ სიტყვებით ხვდებიან ამერიკელ ინტერვენტებს ყველგან, სადაც კი პენტაგონი თავის ბინძურ ჩექმას დადგამს. დახედეთ ამ სურათს. შიში და კრთომა კი არ უჩანს თვალებში დომინგოელ პატრიოტს, არამედ ზიზღი და რისხვა ამერიკელი ოკუპანტისადმი, რომელსაც ავტომატის კონდახი მოუღერებია მისთვის.

